ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შპს ,,თბილისი მოლი" (577 77 73 93)

საფუძველი: განცხადება 19.07.2013წ. 12/13200264-16

მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღრიშვილის №135

საკ.კოდი: №01.13.07.026.002

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 13.06.2013წ. №759515 AR1130862

ფუნქციური დანიშნულება: ბაზარი IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (25.07.13) დადგინდა:

B და C ბლოკები: შეცვლილია შიდა კიბეების კონფიგურაცია და გაბარიტი. საფეხურების რაოდენობა არ ემთხვევა საპროექტოს. ასევე კიბის საყრდენი ლითონის კოლონები არ არის აღნიშნული პროექტში. რკინა-ბეტონის და სენდვიჩპანელის კედლები არ არის განსხვავებულად მოცემული. ,,9-8" მონაკვეთში გაზრდილია გარე კიბის გაბარიტი. ,,f^1-j^1" მონაკვეთში შეცვლილია სახურავის შველერის დახრის კუთხე. ,,11-11" და ,,14-14" ღერძებზე მოწყობილია კედლები.

+7.00 ნიშნულზე ,,D-E" მონაკვეთში არ არის მოწყობილი სენდვიჩპანელის კედელი. ,,1-2" მონაკვეთში მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. ,,15-16" მონაკვეთში კიბის უჯრედში მოწყობილია ჯიხური.

,,16-1" ფასადი: +7.00 ნიშნულზე ,,4-3" მონაკვეთში დამატებულია სლაიდური ჭიშკარი. ,,12-10" მონაკვეთში შეცვლილია გრუნტის ნიშნულები და მოწყობილია საყრდენი კედელი.

,,1-16" ფასადი: (სამეზობლო მიჯნა) ფასადზე მოწყობილია გამწოვი მილები. მოწყობილია სამი ფრამუგა და ორი ფანჯარა.

ღია ავტოსადგომი: ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. ტერიტორიაზე განთავსებულია და მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის ჯიხურები. გაუქმებულია გამწვანების ზოლები. შეცვლილია ლამპიონების ფორმა. შეცვლილია დეკორატიული ბეტონის კედლის გაბარიტი და ნახატი. **,,a-a"** ღერძზე ერთ ლამპიონს მონაცვლებული აქვს ადგილი. **,,c-b"** მონაკვეთში მოწყობილია ლითონის ღობე და ჭიშკარი. **,,f-f"** ღერძის გარეთ მოწყობილია კედელი.

დამხმარე შენობა: დამხმარე სათავსოზე შეცვლილია ღიობების ნახატი, გაბარიტი და მათ მონაცვლებული აქვთ ადგილი. „1^1-2^1“ მონაკვეთში დამატებულია კანალიზაციის მილი. შეცვლილია შიდა კიბის გაბარიტი. „1^1-1^1“ ღერძთან შეცვლილია ლითონის დეკორატიული ელემენტის გაბარიტი.

შეამოწმა:  **კ. გიორგობიანმა**